ESG პრაქტიკების კავშირი საქართველოს კომერციული ბანკების მომგებიანობასთან (ROA) და კაპიტალის მოზიდვის ღირებულებასთან 2021-2024 წლებში

მარიამი ზირაქაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების *ფაკულტეტზე ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფინანსები

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მამრიკიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი ზირაქაშვილი

თარიღი: 09/06/2026

აბსტრაქტი

თანამედროვე ფინანსურ სექტორში ESG (Environmental, Social, Governance) პრაქტიკების მნიშვნელობა მუდმივად იზრდება, რადგან ინვესტორები, მარეგულირებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ორგანიზაციების გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საქმიანობას. მიუხედავად ESG-ის მზარდი მნიშვნელობისა, მისი კავშირი ფინანსურ მაჩვენებლებთან სხვადასხვა ქვეყნისა და სექტორის მიხედვით განსხვავებულ შედეგებს აჩვენებს. განსაკუთრებით შეზღუდულია ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები საქართველოს საბანკო სექტორის კონტექსტში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ESG პრაქტიკების კავშირის შეფასება საქართველოს კომერციული ბანკების მომგებიანობასთან და კაპიტალის მოზიდვის ღირებულებასთან 2021-2024 წლებში. კვლევა ფოკუსირებულია ორ ძირითად ფინანსურ მაჩვენებელზე: აქტივების უკუგებაზე (ROA) და კაპიტალის მოზიდვის ღირებულებაზე, რომელიც განსაზღვრულია კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელის (CAPM) საფუძველზე.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს საქართველოს ხუთი კომერციული ბანკის მონაცემებს. ESG პრაქტიკების შესაფასებლად შემუშავდა ESG Disclosure Index, რომელიც დაფუძნებულია ბანკების ფინანსური და მდგრადობის ანგარიშგებების შინაარსობრივ ანალიზზე. მონაცემთა დამუშავებისა და ეკონომეტრიკული ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა Python პროგრამირების ენა და შესაბამისი ეკონომეტრიკული ბიბლიოთეკები, ხოლო ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა ფიქსირებული ეფექტების (Fixed Effects) პანელური რეგრესიული მოდელი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 2021-2024 წლებში საქართველოს კომერციულ ბანკებში ESG პრაქტიკების ინტეგრაციის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. რეგრესიული ანალიზის მიხედვით, ESG ინდექსსა და აქტივების უკუგებას (ROA) შორის გამოვლინდა დადებითი, თუმცა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი კავშირი, რის გამოც ვერ დადასტურდა, რომ ESG პრაქტიკების გაუმჯობესება კვლევის პერიოდში მნიშვნელოვნად ზრდიდა ბანკების მომგებიანობას. ამავდროულად, ESG ინდექსსა და კაპიტალის მოზიდვის ღირებულებას შორის გამოვლინდა უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, რაც მიუთითებს, რომ ESG პრაქტიკების უფრო მაღალი დონე დაკავშირებულია კაპიტალის შედარებით დაბალ ღირებულებასთან.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ESG პრაქტიკები საქართველოს კომერციული ბანკებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვესტორთა ნდობის გაძლიერებისა და დაფინანსების პირობების გაუმჯობესების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ESG-ის გავლენა ბანკების მომგებიანობაზე კვლევის ფარგლებში არ დადასტურდა, მიღებული შედეგები ადასტურებს მის მნიშვნელობას კაპიტალის ღირებულების შემცირების კუთხით და ხაზს უსვამს ESG ფაქტორების მნიშვნელობას საქართველოს საბანკო სექტორის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ESG, კომერციული ბანკები, ROA, CAPM, კაპიტალის მოზიდვის ღირებულება, პანელური რეგრესია, საქართველო.

Abstract

The importance of ESG (Environmental, Social, and Governance) practices has been steadily increasing in the modern financial sector, as investors, regulators, and other stakeholders place growing emphasis on organizations' environmental, social, and governance activities. Despite the increasing significance of ESG, its relationship with financial performance has produced mixed results across different countries and sectors. In particular, empirical evidence regarding the Georgian banking sector remains limited.

The purpose of this thesis is to assess the relationship between ESG practices and the financial performance of Georgian commercial banks during the period 2021-2024. The study focuses on two key financial indicators: Return on Assets (ROA) and the cost of capital, measured using the Capital Asset Pricing Model (CAPM).

The research is based on a quantitative methodology and includes data from five Georgian commercial banks. To evaluate ESG practices, an ESG Disclosure Index was developed based on the content analysis of banks' financial and sustainability reports. Python programming language and relevant econometric libraries were used for data processing and econometric analysis, while a Fixed Effects panel regression model was employed to test the research hypotheses.

The findings indicate that the level of ESG integration among Georgian commercial banks increased significantly during the period under study. According to the regression analysis, a positive but statistically insignificant relationship was identified between the ESG index and Return on Assets (ROA). Therefore, the study could not confirm that improvements in ESG practices significantly increased bank profitability during the observed period. At the same time, a negative and statistically significant relationship was found between the ESG index and the cost of capital, suggesting that a higher level of ESG integration is associated with a lower cost of capital.

The results indicate that ESG practices play an important role in strengthening investor confidence and improving financing conditions for Georgian commercial banks. Although the impact of ESG practices on profitability was not confirmed within the scope of this study, the findings highlight their importance in reducing the cost of capital and emphasize the role of ESG factors in ensuring the long-term financial sustainability and competitiveness of the Georgian banking sector.

Keywords: ESG, Commercial Banks, ROA, CAPM, Cost of Capital, Panel Regression, Georgia.